ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის გაერთიანებული სხდომის

ოქმი #8

16 თებერვალი 12.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე, ფ.ინჯია, ნ.ლაცაბიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, განათლების და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მან აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში პირველ ეტაპზე ჩარიცხული 186,0 ათასი ევროს ოდენობით, რაც ეროვნული ვალუტის კურსით შეადგენს 576,7 ათას ლარს, შესაბამისად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 576,7 ათასი ლარით, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეხმარება და ხელს შეუწყობს ბიზნეს აქსელერატორის შექმნაში, სტრატეგიული დოკუმენტების და ბიზნეს გეგმების შექმნაში და სხვა. გრანტის ხანგძლივობა მოიცავს ოთხ წლიან პერიოდს და სულ შეადგენს 506,6 ათას ევროს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გადანაწილების შესახებ წინადადებები. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებულმა რესურსმა შეადგინა 15 716,6 ათასი ლარი.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ლ.არველაძემ, ა.ხუჯაძემ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი დადებითად იქნა შეფასებული, კომისიას არ გააჩნია სამართლებრივი შენიშვნები და მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნულ პროექტის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია